J-04/381

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 01.04.2011წ.

ერთის მხრის **შპს "საგზაო ტექნიკა"** (შემდგომში "შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი როგავას სახით და **შპს „ბილდ ინდუსტრი"** (შემდგომში "შემსრულებელი"), მეორეს მხრივ, მისი დირექტორის ნიკოლოზ ნაჭყებიას სახით შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას „შესმყიდველს" გაუწიოს მომსახურება მის სარგებლობაში არსებული ექსკავატორით, მოდელი HUNDAY (შემდგომში „მექანიზმი"), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია ქ. ბათუმი.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

- დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2. „შემსრულებელი" ვალდებულია:

- განახორციელოს მომსახურება სათანადო ხარისხის დაცვით და შესაბამისი მოცულობით;
- უზრუნველყოს მექანიზმი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო საწვავ-საცხები მასალებით;
- "მექანიზმს" დროულად თავისი ხარჯებით ჩაუტაროს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი;
- დაუყოვნებლივ შეატყობინოს „შემსყიდველს" იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ მომსახურების მიმდინარეობას ან შეუძლებელს ხდიან მათ შემდგომ გაგრძელებას.

3. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად ნამუშევარი დღეების მიხედვით და ერთი ნამუშევარი დღის ანაზღაურება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ყოველი თვის ბოლოს შეადგინონ მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც დაფიქსირდება თვის განმავლობაში ფაქტიურად ნამუშევარი დღეების რაოდენობა, შესაბამისი ანაზღაურების მითითებით. აღნიშნული აქტი მიიჩნევა გაწული მომსახურების მიღება-ჩაბარებად.

3.3. ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნული თანხის შესაბამისად.

3.4. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.4. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საგზაო ტექნიკის" შესყიდვების მენეჯერი თეიმურაზ ელკანიშვილი.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზღისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადაა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2011 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. სადაო საკითხების გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილოს წარმოადგენს.
8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები:

"შემსყიდველი"	*"შემსრულებელი"*
შპს "საგზაო ტექნიკა"	**შპს „ბილდ ინდუსტრი"**
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გაგარინის 29ა ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71 ს/კ: 205140257 ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" – კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE14BG0000000282521400	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ხახანაშვილის №11 ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №10, ბინა №15 ს/კ: 206270248 ბანკი: ს.ს. „ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო" კოდი: HSBCGE22 ა/ა: GE24HG0000001052836001
გიორგი როგავა _____	ნიკოლოზ ნაჭყებია _____